ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის

2021 წლის ანგარიში

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ უმეტესწილად განხორციელდა 2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, რიგი აქტივობები ვერ შესრულდა პანდემიით გამოწვეული ვითარების გამო, ხოლო რიგი აქტივობები დაემატა გარდაუვალი საჭიროებების წარმოქმნის მიზეზით.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი მიზანმიმართულად და გეგმიურად ზრდის განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობებს და ამ მიზნით 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“** განხორციელდა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება და ამავე პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა გაიზარდა 30 პროფესიული სტუდენტით, ხოლო ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: **„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** და **„შედუღება“** დამატების მიზნით, ,,სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა ავტორიზაციის განაცხადი ნაცვლად 2022 წლისა, რომლის საფუძველზეც 2021 წლის 14 დეკემბერს დისტანციური ფორმით განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი და, შესაბამისად, 2022 წელს კოლეჯის მიერ გამოცხადებულ პროფესიულ პროგრამათა ჩამონათვალში გათვალისწინებული იქნება ეს უკანასკნელი 2 პროგრამაც, რითაც კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა კვოტა მიაღწევს 670-ს, რაც წარმოადგენს არსებული კვოტის 22%-მდე ზრდას.

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით, კოლეჯს განხორციელების უფლება მოპოვებული ჰქონდა სულ 15 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელთაგან 8 პროგრამა ხორციელდება დუალურად, 2 მოდულური ფორმით, 3 პროგრამა ინტეგრირებული მიდგომით და 2-ის ბაზაზე შემუშავებულია მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები.

როგორც აღვნიშნეთ, დამატებით, ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: **„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** და **„შედუღება“** განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ იქნება 17 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

კოლეჯის მიერ განსახორციელებელი საკვალიფიკაციო პროგრამებია:

1. რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია) - **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
2. რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია) - **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
3. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
4. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - **ხორციელდება ინტეგრირებული მიდგომით;**
5. რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
6. სარკინიგზო გადაზიდვები (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**

7. სარკინიგზო გადაზიდვები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - **ხორციელდება ინტეგრირებული მიდგომით;**
8. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
9. სავაგონო მეურნეობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
10. ლოკომოტივის მართვა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
11. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება მოდულური მიდგომით;**
12. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - **ხორციელდება ინტეგრირებული მიდგომით;**
13. მეჩარხე (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება მოდულური მიდგომით;**
14. საოფისე საქმე (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია) – **პროგრამის საფუძველზე შექმნილი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა;**
15. ბუღალტრული აღრიცხვა (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია) - **პროგრამის საფუძველზე შექმნილი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა.**

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილია:

16. ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია); (**მოდულური)**
17. შედუღება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია). (**მოდულური)**

პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის სტატუსი მინიჭებული აქვს და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულია **384 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 339 მამაკაცი და 45 ქალი.** აღნიშნული მაჩვენებელი **40 პროფესიული სტუდენტით** აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და სახელება	სქესი (კაცი/ქალი)		პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
1	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	44	2	46
2	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი	26	0	26
3	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა	27	4	31
4	რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა	20	0	20
5	სარკინიგზო გადაზიდვები	28	7	35
6	სარკინიგზო გადაზიდვები (ინტეგრირებული)	13	1	14
7	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება	21	8	29
8	სავაგონო მეურნეობა	44	4	48
9	ლოკომოტივის მართვა	58	1	59
10	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	18	12	30

11	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (ინტეგრირებული)	17	2	19
12	მეჩარხე	16	4	20
13	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (ინტეგრირებული)	7	0	7
		339	**45**	
	ჯამი:	**384**		

2021 წლის განმავლობაში **სულ 120-მა პროფესიულმა სტუდენტმა** წარმატებით დაამთავრა არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მიენიჭა პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, სულ **139 კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა რაოდენობა 2021 წლის მდგომარეობით

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კურსდამთავრებულთა რაოდენობა		
		რკინიგზელი	შეგირდი	ჯამი
1	,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“	21	5	26
2	,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“	10	1	11
3	,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“	3	3	6
4	,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“	11	4	15
5	,,ლოკომოტივის მართვა“	18	6	24
6	,,სავაგონო მეურნეობა“	7	1	8
7	,,რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“	8	0	8
8	,,სარკინიგზო გადაზიდვები“	11	4	15
9	,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“	0	21	21
10	,,მეჩარხე“	0	5	5
		89	**50**	
	სულ ჯამი:	**139**		

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად კოლეჯს მოპოვებული აქვს პროფესიული მომზადება/გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელების უფლება.

2021 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების საფუძველზე, კოლეჯმა დამატებით მოიპოვა ერთი პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო პროგრამის: **„საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“** განხორციელების უფლება.

დღეის მდგომარეობით კოლეჯს სულ მოპოვებული აქვს შვიდი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება:

1. ტექნიკური ნახაზების მხაზველი (პროფესიული მომზადება);
2. მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე; (პროფესიული გადამზადება);
3. საოფისე საქმის წარმოება (პროფესიული მომზადება);
4. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის (პროფესიული მომზადება);
5. სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება);
6. სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე (პროფესიული გადამზადება);
7. „საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“ (პროფესიული მომზადება);

რაც შეეხება პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსდამთავრებულთა საერთო მაჩვენებელს, იგი 2020 წლისთვის შეადგენდა 26-ს, ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა და 2021 წელს კოლეჯს უკვე ჰყავდა 40 კურსდამთავრებული.

სულ 2021 წლის მდგომარეობით კოლეჯს ჰყავს: **66 პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებული.**

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა რაოდენობა 2021 წლის მდგომარეობით

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კურსდამთავრებულთა რაოდენობა		
		ქალი	კაცი	ჯამი
1	საოფისე საქმის წარმოება	8	1	9
2	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის	15	2	17
3	ტექნიკური ნახაზების მხაზველი	3	17	20
4	სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი	4	5	9
5	სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე	0	11	11
		30	**36**	
	სულ ჯამი:	**66**		

2021 წელს კოლეჯში დასაქმებული იყო:

- ადმინისტრაცია: 27 ერთეული, 25 შტატიანი და 2 შტატგარეშე თანამშრომელი;
- აკადემიური პერსონალი: 95 ერთეული

წარმოგიდგენთ, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ 2021 წლის თვეების მიხედვით განხორციელებული საქმიანობის დეტალურ ანგარიშს

იანვარი	✓ კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის სამსახურის მიერ ადგილზე კომისიურად შემოწმდა, ქ. თბილისში მდებარე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისთვის გამოყოფილი სს საქართველოს რკინიგზის 9 პრაქტიკის ობიექტი; ✓ შეიქმნა და გაიგზავნა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებთან დაკავშირებით სამომავლო გეგმების ცხრილი, სადაც მითითებულ იქნა ინფორმაცია ყველა იმ მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის შესახებ, რომელთა დამატებასაც გეგმავდა კოლეჯი 2021 წლის განმავლობაში, სავარაუდო თარიღების მითითებით; ✓ მომზადდა კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელიც დადგენილი წესით ყველა დაინტერესებულ მხარეთათვის გასაცნობად გამოქვეყნდა კოლეჯის ვებ გვერდზე და წარედგინა კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოს; ✓ დასრულდა კოლეჯის 2021 წლის სამოქმედო გეგმის მომზადება, რომელიც დადგენილი წესით ყველა დაინტერესებულ მხარეთათვის გასაცნობად გამოქვეყნდა კოლეჯის ვებ გვერდზე და წარედგინა კოლეჯის დამფუძნებელთა საერთო კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოს; ✓ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №459 დადგენილების შესაბამისად დაიწყო მუშაობა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვებისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის მომზადების მიმართულებით; ✓ განხორციელდა 2021 წლის პირველ კვარტალში გადასარიცხი თანხის ოდენობის სისწორის განსაზღვრა და დადასტურება; ✓ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ ინტეგრირებისათვის მოდულების ადაპტირება, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კომუნიკაცია და მათი ჩართულობით სწავლის შედეგების დისტანციურად განხორციელების პირობების განსაზღვრა.
თებერვალი	✓ განხორციელდა კარიერული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული განათლების ფორუმისთვის „სწორი არჩევანი“ პრეზენტაციის მომზადება და ონლაინ პლატფორმაზე „studyprogrammes.ge”-ზე კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის განთავსება. დამატებით აღნიშნული ფორუმის ფარგლებში მონაწილე პირებისთვის ორგანიზებულ იქნა წამახალისებელი გათამაშება;

	✓ დასაქმების პორტალზე „საჯარო სამსახურის ვაკანსიები“ (hr.gov.ge)” კოლეჯის მიერ გამოცხადებულ იქნა ვაკანსია „სერვის პლიუსის სპეციალისტის“ პოზიციაზე; ✓ ჩატარდა ფოკუს ჯგუფის შეკრება თემაზე: „კოლეჯში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა“. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტებმა, მათ მიერ თავად იქნა არჩეული ერთი მოდერატორი, რომელიც განსაზღვრავდა მომხსენებელთა რიგითობასა და მოხსენებისა თუ დისკუსიის ხანგრძლივობას; ✓ კოლეჯის წარმომადგენლები, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის მიღებასთან დაკავშირებით დაესწრნენ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ ჩატარებულ ტრენინგს; ✓ შემუშავდა ზრდასრულთა განათლების კოორდინატორების ინდივიდუალური გეგმა; ✓ განხორციელდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ ჩატარებულ ტრენინგზე დასწრება, თემაზე „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სარკინიგზო გადაზიდვები“ კონცენტრაციის მოდულებს პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდა ვერიფიკაცია და წარმოდგენილი რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ მოდულების განმახორციელებელ პირებს, დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ მსოფლიო ბანკის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდის“ (GGF) მხარდაჭერით, საჯარო სკოლების ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ჩატარდა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა თემით: „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“; ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვებისა და პროფესიულ სტუდენტთა არსებული კონტინგენტის გაზრდის მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა განაცხადი; ✓ განხორციელდა მსოფლიო ბანკისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელებული საგრანტო პროექტისთვის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ მონაცემთა ბაზის კორექტირება და ახალი დამატებული ველების ინსტრუქციისამებრ შევსება;

	✓ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მეჩარხე“, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განახლებისა და მომავალი თანამშრომლობის გაგრძელების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა კომუნიკაცია კომპანიასთან შპს ,,ნოვატორული ტექნოლოგიები“; ✓ განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს მიერ ახალი, დაქირავებულ პირთა რეესტრის წარმოებაზე გადასვლა.
მარტი	✓ სასწავლო პროცესი გაგრძელდა ე.წ. ჰიბრიდული ფორმით, კერძოდ, თეორიული მოდულები ხორციელდებოდა დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული მოდულები მიმდინარეობდა არადისტანციურად, უშუალოდ კოლეჯის სასწავლო აუდიტორიებში. ამასთანავე, პარალელურ რეჟიმში დაიწყო მეცადინეობებზე ონლაინ დასწრების ორგანიზება და გამოკითხვების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე პროფესიული სტუდენტების მეცადინეობებზე დასწრებისა და ჩართულობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდა ვერიფიკაცია და წარმოდგენილი რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ მოდულების განმახორციელებელ პირებს; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“, ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, ,,სავაგონო მეურნეობა“ და ,,ლოკომოტივის მართვა“ 40 პროფესიულ სტუდენტს ჩაუტარდა საკვალიფიკაციო გამოცდის თეორიული ნაწილი; ✓ ქ. ხაშურის უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოსა და ქ. ხაშურის სავაგონო დეპოში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ და ,,სავაგონო მეურნეობა“ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდათ საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული ნაწილი; ✓ ქ. თბილისის სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების სამმართველოს სადგურ თბილისი სატვირთოში და ქ. თბილისის სალოკომოტივო დეპოს ფილიალ მგზავრთა გადაყვანაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ და ,,ლოკომოტივის მართვა“ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდათ საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული ნაწილი; ✓ დასაქმების პორტალზე „საჯარო სამსახურის ვაკანსიები“ (hr.gov.ge) გამოცხადდა ვაკანსია ბიბლიოთეკარის პოზიციაზე და შეირჩა კვალიფიციური კადრი;

- ✓ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულო ტესტირებისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება;

- ✓ კოლეჯი ჩაერთო სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში. წარდგენილ იქნა ორი პროფესიული მომზადების პროგრამა „საოფისე საქმის წარმოება“ და „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის“ განხორციელებისთვის დაფინანსების მოპოვების მიზნით;

- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვებისა და პროფესიულ სტუდენტთა არსებული კონტინგენტის გაზრდის საკითხთან დაკავშირებით, განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოყოფილი ავტორიზაციის ექსპერტების დისტანციური ვიზიტი;

- ✓ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ორ ეტაპიანი ტრენინგის საფუძველზე, დასახელებით: **,,სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სწავლების ეფექტური სტრატეგიების შემუშავება“** კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს გადაეცათ კურსის გავლის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატები;

- ✓ გამოცხადდა რეგისტრაცია მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე „საოფისე საქმის წარმოება“;

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი იქნა განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამის „ტექნიკური ნახაზების მხაზველი“ განსახორციელებლად დაფინანსების მოპოვების მიზნით;

- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ და ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ 12 პროფესიულ სტუდენტს ჩაუტარდა საკვალიფიკაციო გამოცდის თეორიული ნაწილი;

- ✓ სს საქართველოს რკინიგზის სადგურ თბილისი სამგზავროში და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის რკინიგზის ელექტრომომარაგების პრაქტიკული სწავლების გარე პოლიგონზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ და ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდათ

	საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული ნაწილი. შედეგად მარტის თვეში, ექვსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“, ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“, ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, ,,სავაგონო მეურნეობა“ და ,,ლოკომოტივის მართვა“ 52-მა პროფესიულმა სტუდენტმა წარმატებით ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოდის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი და მიენიჭათ არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაცია. აღნიშნულ რაოდენობას დაემატა 2020 წელს კურსდამთავრებული 19 პროფესიული სტუდენტი და სულ 2021 წლის მარტის თვის მდგომარეობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი წარმატებით დაასრულა 71-მა პროფესიულმა სტუდენტმა.
აპრილი	✓ ორგანიზება გაუკეთდა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლისათვის 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 61 პროფესიული სტუდენტის სს „საქართველოს რკინიგზის“ პრაქტიკის ობიექტებზე საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით გადანაწილებას; ✓ ,,KVP Project Evaluation Mission“-ის წარმომადგენლებთან მომავალი თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით, დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა შეხვედრა; ✓ დასრულდა ორენოვანი (ქართული და ინგლისური) საკვალიფიკაციო დიპლომის დანართის მომზადება; ✓ გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) რომლის დაფინანსების ფარგლებში კოლეჯში მოეწყო სასაწყობო ლოგისტიკის სიმულაციური გარემო და აღიჭურვა თანამედროვე კომპიუტერული კლასითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; ✓ ,,e-vet.emis.ge” ბაზაში განხორციელდა 2021 წლის მეორე კვარტლის დაფინანსების სისწორის დადასტურება; ✓ მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის ,,მატარებლის შემდგენელი“ მომზადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “სარკინიგზო გადაზიდვები” ხელმძღვანელის აქტიური ჩართულობით დაიწყო მუშაობა; ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი“ განსახორციელებლად დაფინანსების მოპოვების მიზნით; ✓ გამოცხადდა მიღება, მოკლევადიანი მომზადების პროგრამაზე: “სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი";

	✓ დისტანციურად ჩატარდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს სხდომა, რომლის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს მიენიჭა უფლება, რომ განახორციელოს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამა **,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“,** რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ამავე პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა გაიზარდა 30 პროფესიული სტუდენტით; ✓ დასრულდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებით გათვალისწინებული მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობის ცხრილის შემუშავება და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მოთხოვნილი სრული ჩამონათვალის მიხედვით დაიწყო შესყიდვების პროცესის განხორციელება; ✓ განხორციელდა ონლაინ შეხვედრა სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სიმულაციური ავტორიზაციის განხორციელების საკითხზე. შეხვედრის დროს მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შერჩეულ იქნა ერთი დუალური და ერთი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ და ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, რომლის საფუძველზეც აქტიურად დაიწყო მუშაობა თვითშეფასების განაცხადის შევსებისა და ავტორიზაციის ექსპერტებისთვის დროულად გადაგზავნის უზრუნველყოფის მიზნით; ✓ კოლეჯის წარმომადგენლებმა ონლაინ რეჟიმში, აპლიკაცია Zoom-ის გამოყენებით გაიარეს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ორგანიზებული ტრენინგი, რომლის ძირითადი მიზანი იყო პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს საკითხზე განაცხადის გასაკეთებლად დეტალური ინფორმაციის მიღება და კოლეჯის მიერ წარსადგენი ნომინაციების შერჩევა; ✓ გამოცხადდა რეგისტრაცია მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტექნიკური ნახაზების მხაზველი“; ✓ 30 აპრილიდან - 12 მაისის ჩათვლით საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, სააღდგომო არდადეგებთან დაკავშირებით დროებით შეჩერებულ იქნა სასწავლო პროცესი.
მაისი	✓ დასრულდა რეგისტრაცია მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტექნიკური ნახაზების მხაზველი“. რეგისტრაციის პროცესის შედეგად კოლეჯის მიერ გამოცხადებულ 15 ადგილზე დარეგისტრირდა 29 აპლიკანტი;

	✓ მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტექნიკური ნახაზების მხაზველი“ დარეგისტრირებულ აპლიკანტებს ჩაუტარდათ გასაუბრება და საბოლოოდ შერჩეულ იქნა 15 მსმენელი, რომელთაც გაუფორმდათ ხელშეკრულებები და მიენიჭათ მსმენელის სტატუსი; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ (მოდულური) 9 პროფესიულმა სტუდენტმა, რომლებმაც სრულად აითვისეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები, დაასრულეს სწავლება და მიენიჭათ პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია; ✓ კოლეჯში სტუმრად იმყოფებოდნენ სს „გუდვილის“ ეიჩარი და კომპანიის სხვა წარმომადგენლები. ვიზიტი მიზნად ისახავდა სასაწყობე ლოგისტიკის მიმართულებით თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების საკითხს და ახალი პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავებაზე მუშაობის დაწყების ორგანიზებას; ✓ გამოცხადდა რეგისტრაცია პროფესიული მომზადების პროგრამაზე „სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი“; ✓ დაიწყო სასწავლო პროცესის განხორციელება პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტექნიკური ნახაზების მხაზველი“; ✓ კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის სამსახურის წარმომადგენლების მიერ სს „საქართველოს რკინიგზის“ 12 პრაქტიკის ობიექტზე შემოწმებულ იქნა 30 პროფესიული სტუდენტის მიერ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებაზე დასწრებისა და მოდულების სწავლის შედეგებით გათვალისწინებული მტკიცებულებების შექმნის პროცესი. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ფაქტების შესახებ წარმოდგენილ იქნა ანგარიში და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები მათი დროული აღმოფხვრის მიმართულებით; ✓ ,,ათასწლეულის გამოწვევა“ კორპორაციისა და ,,გუდავაძე-პატარკაციშვილი“-ს ფონდის მიერ ორგანიზებულ კონკურსში ,,პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო - 2021“ წარდგენილ იქნა განაცხადი შემდეგ ნომინაციებზე: • წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: **,,ლოკომოტივის მართვა“;** • წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი: **გრიგოლ ფრანგიშვილი, მაია აბრამიშვილი, დავით მაზანაშვილი;** • წლის პროფესიული განათლების სტუდენტი: **მარიამ გვეტაძე და გიორგი სიყოევი;**

	✓ პროფესიული დარგობრივი საბჭოს სხდომა, რომლის ფარგლებშიც განხილულ და დამტკიცებულ იქნა ,,ელექტრობის“ ჩარჩო დოკუმენტში შემავალი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ ინიცირებული ცვლილებები; ✓ შეტანილ იქნა განაცხადი კოლეჯში სიმულაციური ავტორიზაციის პროცესის განხორციელების მიზნით, ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში: ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ და ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“.
ივნისი	✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდა ვერიფიკაცია და წარმოდგენილი რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ მოდულების განმახორციელებელ პირებს, დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის სამსახურის მიერ ადგილზე კომისიურად შემოწმდა, ქ. მარნეულსა და ქ. რუსთავში მდებარე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისთვის გამოყოფილი სს საქართველოს რკინიგზის 3 პრაქტიკის ობიექტი; ✓ სასაწყობე ლოგისტიკის მიმართულებით თანამშრომლობის პროცესის დაწყების მიზნით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯსა და სს „გუდვილს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯსა და შპს ,,ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავდა მომავალ თანამშრომლობას და მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე“ ფარგლებში კომპანიის თანამშრომლების გადამზადებას; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ,,სავაგონო მეურნეობა“ შიდა მობილობით ერთი პროფესიული სტუდენტი გადავიდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“; ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განსახილველად წარდგენილ იქნა პროფესიული მომზადების პროგრამა „საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“; ✓ კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის სამსახურის მიერ ადგილზე განმეორებით კომისიურად შემოწმდა, ქ. ხაშურში მდებარე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისთვის გამოყოფილი სს საქართველოს რკინიგზის 9 პრაქტიკის ობიექტი. შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები პრაქტიკის ინსტრუქტორების მიერ იყო გათვალისწინებული და

	ძირითადი დარღვევები აღმოფხვრილი. პრაქტიკის ინსტრუქტორებთან ურთიერთობა წარიმართა დიალოგის რეჟიმში; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯსა და სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის“ განხორციელების მიზნით; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“, დეფექტოსკოპიის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდა ვერიფიკაცია, რომლის შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ დასრულდა გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღება პროფესიული მომზადების პროგრამაზე „სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი“ და შედეგად 15 აპლიკანტს მიენიჭა მსმენელის სტატუსი; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდა ვერიფიკაცია და წარმოდგენილი რეკომენდაციების შესახებ ეცნობათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს; ✓ დაიწყო სწავლება პროფესიული მომზადების პროგრამაზე „სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი“; ✓ კოლეჯის მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების მიერ განვლილი ექვსი თვის განმავლობაში სააუდიტორო მეცადინეობებზე ყოველთვიური დასწრებების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა თუ პროფესიული სტუდენტების გამოკითხვებისა და სასწავლო პროცესის განხორციელების მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე, სტატუსი შეუჩერდა 23 პროფესიულ სტუდენტს, სტატუსი შეუწყდა 7 პროფესიულ სტუდენტს და გაფრთხილება მიეცა 60-მდე პროფესიული სტუდენტს; ✓ კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის სამსახურის მიერ ადგილზე კომისიურად შემოწმდა, ქ. სამტრედიაში მდებარე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისთვის გამოყოფილი სს საქართველოს რკინიგზის 3 პრაქტიკის ობიექტი;

	✓ სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გადასარიცხი თანხის რეკალკულაციის მიზნით განხორციელდა ინფორმაციის სისწორის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (Evet.emis.ge) დადასტურება; ✓ პროფესიული დარგობრივი საბჭოს სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა ,,რკინიგზის ოპერირების“ ჩარჩო დოკუმენტში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ლოკომოტივის მართვა“, ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ და ,,სარკინიგზო გადაზიდვები“ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ ინიცირებული ცვლილებები; ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტების მიერ, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში დისტანციური ფორმით, განხორციელდა სიმულაციური ავტორიზაციის ვიზიტი, რომლის ფარგლებში შესწავლილ იქნა ავტორიზაციის სამი სტანდარტის მოთხოვნებთან: ,,კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება“, ,,საგანმანათლებლო პროგრამები“ და ,,პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები“ კოლეჯის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის თავსებადობა.
ივლისი	✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტების მიერ, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში დისტანციური ფორმით, განხორციელდა სიმულაციური ავტორიზაციის ვიზიტი, რომლის ფარგლებში შესწავლილ იქნა ავტორიზაციის მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მოთხოვნებით გათვალისწინებული მოთხოვნები; ✓ კოლეჯის 37 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის 15 რკინიგზელსა და 22 არარკინიგზელს ჩაუტარდა შუალედური გამოცდა და გადავიდნენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე; ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლების დადასტურების გზით, კოლეჯმა მოიპოვა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის ,,საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“ განხორციელების უფლება; ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ ჩატარდა ტრენინგი ანკეტა-კითხვარის შევსების შესახებ; ✓ დაიწყო პროფესიული განათლების მიღების მსურველთა საშემოდგომო რეგისტრაცია, რომელიც დასრულდა 20 აგვისტოს; ✓ განხორციელდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ კოლეჯის მიერ მოპოვებული ბიტეკის

	,,BTEC”-ის საერთაშორისო კვალიფიკაციის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია; ✓ ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავაგონო მეურნეობა“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდა ვერიფიკაცია და წარმოდგენილი რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ მოდულების განმახორციელებელ პირებს; ✓ დისტანციური ფორმით ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციის კმაყოფილების კვლევის კითხვარის შევსება; ✓ კოლეჯში სტუმრად იმყოფებოდნენ ,,ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“, ,,გუდავაძე-პატარკაციშვილი“-ს ფონდისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები; ✓ შეძენილ იქნა თანამედროვე ელექტრონული პროგრამა ,,OPENBIBLIO“, ჩაირთო მოხმარებაში ელექტრონული კატალოგი, რომელშიც ასახულია საბიბლიოთეკო რესურსი (549 ბეჭდური ერთეული, 86 ელექტრონული წიგნი). ბიბლიოთეკის კატალოგით სარგებლობა სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ასევე პროფესიულ სტუდენტებსა და ყველა სხვა დაინტერესებულ პირებს. დამატებით, კოლეჯის ბიბლიოთეკამ სხვა და სხვა ფიზიკური პირებისგან საჩუქრად მიიღო 21 ბეჭდური ერთეული წიგნი. აგრეთვე, უნივერსალური საერთაშორისო კლასიფიკაციით დამუშავდა საბიბლიოთეკო რესურსი, აეწყო ფონდი და ანბანის მიხედვით განლაგდა თაროებზე; ✓ გამოცხადდა რეგისტრაცია პროფესიული მომზადების პროგრამაზე: ,,ტექნიკური ნახაზების მხაზველი“; ✓ ჩატარდა SELFIE - ს კვლევის ფარგლებში გამოკითხვის პროცესი;
აგვისტო	✓ დაიწყო სწავლა პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე“. პროგრამა განხორციელდა შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა კომპანიის კასპის სამსახურის 11 თანამშრომლის გადამზადებას; ✓ დასრულდა სწავლა პროფესიული მომზადების პროგრამაზე „სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი“. ამ პროგრამაზეც თავდაპირველად ირიცხებოდა 15 მსმენელი და სწავლა დაასრულა 9 მსმენელმა. დარჩენილ 6 მსმენელს სტატუსი შეუწყდა, რომელთაგან 3-მა გადაიფიქრა სწავლა, ხოლო 3-მა დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე ვეღარ შეძლო დასწრება და პროგრამით გათვალისწინებული საათების გაცდენების დიდი რაოდენობა დაუგროვდა.

	✓ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესისა და პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მონიტორინგის მიზნით შემოწმდა პრაქტიკის 4 ობიექტი; ✓ დასრულდა პროფესიული განათლების მიღების მსურველი აპლიკანტების რეგისტრაციის პროცესი; ✓ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესისა და პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მონიტორინგის მიზნით დამატებით შემოწმდა პრაქტიკის 6 ობიექტი; ✓ ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდა ვერიფიკაცია და წარმოდგენილი რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ მოდულების განმახორციელებელ პირებს;
სექტემბერი	✓ განხორციელდა მეოთხე კვარტალში გადასარიცხი თანხის ოდენობის სისწორის განსაზღვრა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზაში დადასტურება; ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, სოციალურად დაუცველი სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, მოთხოვნილი ინფორმაციების მიწოდება; ✓ „დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის“ შესახებ სტუდენტებთან დაკავშირება, ინფორმირება და კონსულტირება; ✓ ონლაინ რეჟიმში ჩატარდა გასაუბრება სამ ინტეგრირებულ და ორ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებულ აპლიკანტებთან გასაუბრება; ✓ ჩატარდა შიდა ტესტირება 8 დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებულ აპლიკანტებთან; ✓ სს საქართველოს რკინიგზაში ორგანიზებულ იქნა სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის პროფესიული სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის მოდულის გავლა; ✓ შეჯამებულ იქნა 8 დუალური პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების შიდა ტესტირების შედეგები; ✓ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ მოწოდებულ იქნა სამ ინტეგრირებულ და ორ მოდულურ პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების ონლაინ გასაუბრების შედეგები;

	✓ განხორციელდა ონლაინ ფორუმზე - „ავიცრათ სიცოცხლის გადასარჩენად“ პროფესიულ სტუდენტთა დასწრების უზრუნველყოფა; ✓ სამი პროფესიული მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულთათვის სერტიფიკატებთან ერთად მომზადდა, დაიბეჭდა დანართები და აიტვირთა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (tvet-emis.ge);
ოქტომბერი	✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,შედუღება“ და ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით, ჩატარდა ბაზრის კვლევა და მის საფუძველზე, 183.372 (ასოთხმოცდასამი ათას სამას სამოცდათორმეტი) ლარის ოდენობით, დაფინანსების გამოყოფის მიზნით, წერილი გაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,შედუღება“ და ,,მეჩარხე“ სახელოსნოში განხორციელდა სათვალთვალო კამერების დამონტაჟება; ✓ 207 აპლიკანტს მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი; ✓ გაიმართა პროფესიული დარგობრივი საბჭოს სხდომა, რომლის ფარგლებშიც განხილულ და დამტკიცებულ იქნა ,,სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის“ ჩარჩო დოკუმენტში შემავალი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ ინიცირებული ცვლილებები; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიებისა“ და ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის მიზნით დასაქმების პორტალზე ,,HR.GOV.GE“ ვაკანსიების გამოცხადება; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, ექვსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“, ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, ,,სავაგონო მეურნეობა“, ,,ლოკომოტივის მართვა“, ,,რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ და ,,სარკინიგზო გადაზიდვები“ 46 პროფესიულ სტუდენტს ჩაუტარდა საკვალიფიკაციო გამოცდის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი; ✓ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის Dvv International-ის მიერ, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთათვის ჩატარდა სამ დღიან ტრენინგი და ტრენინგების მონაწილეებს Dvv International-ის მიერ გადაეცათ სერტიფიკატები;

	✓ პროფესიული მომზადების პროგრამის „სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე“ ჩატარდა საბოლოო გამოცდა და პროგრამა წარმატებით დაასრულა 11-მა მსმენელმა.
ნოემბერი	✓ დასრულდა სწავლა პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე“, რომელიც განხორციელდა შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შედეგად გადამზადებულ იქნა კომპანიის კასპის სამსახურის 11 თანამშრომელი და კომპანიის ხელმძღვანელობის მოთხოვნით დამატებით 5 თავისუფალი მსმენელი. ჯამში სულ 16; ✓ აღნიშნულ პროგრამაზე მომზადდა კურსდამთავრებულთა სია სერტიფიკატების დასაბეჭდად, ასევე მომზადდა, დაიბეჭდა დანართები და სერტიფიკატებთან ერთად აიტვირთა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Tvet-emis.ge). ✓ კოლეჯს ესტუმრნენ ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რომლებმაც დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მიიღეს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და თანამშრომლობის მომავალი პერსპექტივების შესახებ; ✓ ოთხ ჩარჩო დოკუმენტში, ,,სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი“, ,,მექანიკა და ლითონის დამუშავება“, ,,რკინიგზის ოპერირება“, და ,,ელექტროობა“, კოლეჯის მიერ ინიცირებული ცვლილებების დარგობრივ საბჭოზე დამტკიცების შემდგომ, მომზადდა შიდა მოხსენებითი ბარათი, შეტანილი ცვლილებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვის მიზნით; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,შედუღება“ და ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ ავტორიზაციის გზით დამატების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეტანილ იქნა განაცხადი; ✓ ,,ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა“ და ,,გუდავაძე-პატარკაციშვილი“-ს ფონდის მიერ ორგანიზებულ კონკურსში ,,პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო - 2021“, გაიმარჯვა კოლეჯის მიერ წარდგენილმა პროფესიულმა სტუდენტმა მარიამ გვეტაძემ, ნომინაციაში: ,,**წლის პროფესიული განათლების სტუდენტი“.** ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოდულის, ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, შესყიდულ იქნა გამწოვი კარადა, რომელიც შესაბამისი უსაფრთხოების წესების დაცვით კოლეჯში დამონტაჟებულ იქნა უშუალოდ მომწოდებელი კომპანიის მიერ;

	✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სტუმრად იმყოფებოდნენ შტუტგარტის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპორტის აკადემიის, გერმანული ორგანიზაცია „Sequa-gGmbH”-ს და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები. სტუმრებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა, განხილულ იქნა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები; ✓ 2021 წლის მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის პირველადი დაფინანსების სისწორის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზაში დადასტურება; ✓ კოლეჯის 73 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის 45 რკინიგზელსა და 28 არარკინიგზელს ჩაუტარდა შუალედური გამოცდა და გადავიდნენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე; ✓ საწარმოო პრაქტიკის სამსახურის მიერ, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესისა და პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მონიტორინგის მიზნით, შემოწმდა ქ.თბილისის, ხაშურისა და რუსთვის სს საქართველოს რკინიგზის 7 სხვადასხვა პრაქტიკის ობიექტი;
დეკემბერი	✓ განხორციელდა „ათასწლეულის განვითარების ფონდისთვის“ 2021 წლის მდგომარეობით პროფესიულ სტუდენტთა არსებული რაოდენობის შესახებ სრული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და გაგზავნა; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და ,,შედუღება“ კოლეჯის მიერ დამატების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტების მიერ აპლიკაცია ზუმის გამოყენებით განხორციელდა ონლაინ ვიზიტი; ✓ ,,მექანიკა და ლითონის დამუშავება“, ჩარჩო დოკუმენტში შემავალ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მეჩარხე“ კონცენტრაციის მოდულებს ჩაუტარდა ვერიფიკაცია. პროცესში მონაწილეობას იღებდა პროგრამის ხელმძღვანელი და დარგის შესაბამისი სპეციალისტები. შემოწმების შედეგად გაცემულ იქნა სხვადასხვა სახის რეკომენდაციები, რომელთა შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს. დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,შედუღება“ და ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით, ჩატარებული ბაზრის კვლევის საფუძველზე, კოლეჯმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მიიღო მიზნობრივი დაფინანსება 183.372 (ასოთხმოცდასამი ათას სამას სამოცდათორმეტი) ლარის ოდენობით და აქტიურად დაიწყო

	პროგრამებით გათვალისწინებული მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობის შესყიდვის პროცესი; ✓ კოლეჯის მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების მიერ განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა და მათი კმაყოფილებისა თუ საჭიროებების კვლევა. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, განხორციელდა შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს ესტუმრა ისრაელის ოფიციალური და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ,,ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“, ,,გუდავაძე-პატარკაციშვილი“-ს ფონდისა და სს საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლები. ელჩმა მიიღო დეტალური ინფორმაცია კოლეჯის დაარსების დღიდან განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული წარმატებების შესახებ. სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა, განხილულ იქნა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები და ძირითადი მიმართულებები; ✓ კოლეჯში დასრულდა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად, წარმოებული 2021 წლის მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესი.

შესყიდვები

კოლეჯის მიერ, 2021 წელს, შესყიდვების გეგმისა და დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვები დადგენილი წესების შესაბამისად და 31 დეკემბრამდე გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

1	ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა	შპს მაგთიკომი	204876606	11.12.20	11.12.2020	4800
2	დაცვის მომსახურება	შ.პ.ს. "საკუთრების დაცვის საამმართველო-1"	212783353	46	15.12.2020	36900
3	სველი წერტილებისა და საქვაბის ტექნიკური მომსახურება	ი/მ ვლადიმერ სტეფნაძე	01017038510	15/12/20	15.12.2020	4800
4	ჰოსტინგის შესყიდვა	შპს პროსერვისი	204929168	16.12.20	16.12.2020	192

5	ტრენინგის ორგანიზება და ჩატარების (სასწავლო კურსის დასახელება - „ფინანსური ანგარიშგების ფორმები - მათი შევსების წესი")	სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია	206348987	04.02.21	04.02.2021	180
6	ერთი კალენდარული თვით „Studyprogrammes.ge“ პლატფორმაზე 5 სასწავლო პროგრამის განთავსების სარეკლამო მომსახურების შესყიდვა	შპს ბესთ ფიფოლ	406234141	04.02.21.2	04.02.2021	95
7	განათლების ფორუმში-"სწორი არჩევანი" მომსახურების შესყიდვა	შპს ბესთ ფიფოლ	406234141	04.02.21.1	04.02.2021	180
8	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა.პროგრამის დამატება პროფესიული სწავლებისთვის ინტეგრირების უფლების მოპოვებისათვის	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	202330566		08.02.2021	4458.00
9	მყარი დისკისა და ქსელის ადაპტერის სახელმწიფო შესყიდვა	შპს ულტრა	206258182	03-11-21	11.03.2021	1749.2
10	კომპიუტერული მოწყობილობისა (UniFi) და სამაგრის სახელმწიფო შესყიდვა	შპს ინტელკომ ჯგუფი	202441189	11.03.21.1	11.03.2021	1047.04
11	დიპლომებისა და სერტიფიკატების პერსონალიზაციით ბეჭდვითი მომსახურება	შპს კაბადონი +	205186065	04-06-21	06.04.2021	4950
12	ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების სარგებლობის უფლება 1 მომხმარებელზე	სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"	203862622		06.04.2021	288
13	ბალახის საჭრელი ძუა (ე.წ.გრეხილი)	გუდბილდ +	400240217	12.04.21.2	12.04.2021	150
14	ბალახის შესაწამლი სითხე	შპს კარტლის აგროსისტემები	208168640	12.04.21.1	12.04.2021	90
15	„ევრორეგულარის“ მარკის საწვავის შესყიდვა. საორიენტაციო რაოდენობაა 500 ლიტრი	შპს ,,სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი''	202352514	12.04.21	12.04.2021	1260

17	6 ლიტრი ორტაქტიანი ძრავის ზეთის შესყიდვა	შპს ამბოლი	216402701	16.04.21	16.04.2021	66
18	15 ერთეული დენის დამაგრძელებლის სახელმწიფო შესყიდვა	შპს გამა	402007289	05-11-21	11.05.2021	240
19	200 ერთეული ნათურების სახელმწიფო შესყიდვა	შპს "ვოლტი"	429326598	11/05/21/1	11.05.2021	1100
20	მონიტორის სამაგრი (საკიდი) შესყიდვა	შპს „allmarket.ge“	404431432	19.05.21	19.05.2021	950
21	სხვადასხვა ტიპის საოფისე ავეჯის შესყიდვა	შპს ჰეფი	402044079	25.05.21	25.05.2021	1300
22	სასწავლო დამხმარე საშუალებები და მოწყობილობები - დაფა შესყიდვა (ხაზვითი სამუშაოსთვის განკუთვნილი)	შპს ჰეფი	402044079	25.05.21.1	25.05.2021	1500
23	პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამა 3 წლის ვადით	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	202330566		01.06.2021	175
24	დრამ მოწყობილობა შესყიდვა	შპს ულტრა	206258182	01.06.21	01.06.2021	2700
25	ამომრთველების შესყიდვა	შპს გორგია	245621288	02.06.21	02.06.2021	2591.98
26	საკანცელარიო საქონლისა და კომპიუტერული აქსესუარების შესყიდვა	შპს ოფისლაინი	402044079	04.06.21	04.06.2021	670.8
27	საკანცელარიო საქონლის შესყიდვა	შპს ოფისლაინი	402044079	04.06.21.1	04.06.2021	1583.6
28	მისამართიანი აბრების შესყიდვა	შპს პანორამა- Panorama	400106960	15.06.21	15.06.2021	440
29	პირადი ჰიგიენის საშუალებების შესყიდვა ვაუჩერით	შპს ჯი პი გრუპი	406268541	16.06.21	16.06.2021	267.6
30	კარტრიჯების დამუხტვის მომსახურების შესყიდვა ვაუჩერი	შპს იზი სერვისი	402065144	17/06//21	17.06.2021	590
31	180 ერთეული დამცავი ფეხსაცმლის სახელმწიფო შესყიდვა	შპს Made To Make	404954377	47	22.06.2021	6300
32	ბრენდირებული საქონლის (ბრენდირებული კალმები, ბროშურები, შპალერი) შესყიდვა	შპს ბრენდჰენდი	405326115	22.06.21	22.06.2021	1100.96

33	საწვიმარი ლაბადა შესყიდვა	შპს გორგია	245621288	24.06.21	24.06.2021	507
34	საკანცელარიო საქონლის (ბეჭდები/შტამები) შესყიდვა	ი.მ. ქეთევან ჭირაქაძე	01010005063	24.06.21.1	24.06.2021	115
35	ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის (“OpenBiblio”) დაინსტალირების და სწავლების მომსახურების შესყიდვა	ი.მ თამარ ხახუტაშვილი	01003015633	25.06.21	25.06.2021	600
36	სპეც ტანსაცმლის შესყიდვა	შპს უნიფორმა და უსაფრთხოება	401965263	48	06.07.2021	19,822.00
37	საბიბლიოთეკო პროგრამის შეძენა	ი/მ თამარი ხახუტაშვილი	1.003E+09	25.06.21	25.06.2021	600
38	ნაბეჭდი მასალა პოსტერი სტიკერი	შპს მარკეტ ლიდერი	412685633	19.07.21	19.07.2021	925
39	12 თვით ანტივირუსის შეძენა	შპს ჰაი-ტექ სოლუშენს	205268315	09.08.21	09.08.2021	4,659.63
40	სატენდერო განაცხადისა და სატენდერო დოკუმენტის სისტემაში განთავსების საფასური	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	204428510		18.08.2021	100
41	გამწოვი კარადის შესყიდვა	შპს ოქრონიში	442570898	14.09.21	14.09.2021	4,250.00
42	ვიდეო სათვალთვალო კამერების, სამისამართი კვამლის დეტექტორების, სახანძრო კაბელებისა და სხვა თანმდევი მონტაჟით	შ.პ.ს. სერვის -1	205266148	16.09.21	16.09.2021	3,241.60
43	საწერ-სახაზავი ქაღალდის	შპს პენსან ჯორჯია	404870760	24.09.21	24.09.2021	800
44	პირბადეების შესყიდვა	შპს Weekend	404420649	24.09.21.1	24.09.2021	126
45	ხელის სადეზინფექციო საშუალების შესყიდვა	შპს მეღვინეობა გრანელი	441555005	24.09.21.2	24.09.2021	222
46	დომენის განახლების ხარჯი	შპს პროსერვისი	204929168	06.10.21	06.10.2021	12
47	2 ერთეული ელექტრო კარადის დემონტაჟისა და გარეთ მონტაჟის და ასევე, ამავე შენობაში არსებულ ლაბორატორიაში, სანტექნიკის მოწყობილობის	შპს ნიკა	400309509	49	18.10.2021	13,500.00
48	პერგამენტის ქაღალდი, საბეჭდი ქაღალდი	9	404873614	19.10.21	19.10.2021	123.14

49	გარე ჩასაცმელი ქურთუკისა და დამცავი ქამარის შეძენა	შპს Made To Make	404954377	5.11.21	05.11.2021	4,347.00
50	სამედიცინო ყუთი	შპს ატლას მედიკალი	405228016	9.11.21	09.11.2021	64
51	კალა სასწავლო მიზნებისთვის	შპს ედისონ სთორი	406303646	10.11.21	10.11.2021	15
52	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის: "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" და "შედუღება"დამატება	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	202330566		11.11.2021	4458
53	ცეცხლსაქრობი ფხვნილები	შპს გეფფა ჯგუფი	404607332	11.11.21	11.11.2021	675
54	ექსპერტიზა ელ.კარადის გარეთ გატანისა და 2 ერთეული სველი წერტილის	სსიპ "ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპ. ერ. ბიურო"	204852089	2001568321	11.11.2021	375.76
55	ერთჯერადი ელსახოცები	შპს ჯი პი გრუპი	406268541	12.11.21.1	12.11.2021	178
56	საშჭრელი ქალგოლი და საიზოლაციო ლენტა	შპს გიო კომპანი	400115219	12.11.21	12.11.2021	262
57	ქვიშა ღორღი	შპს კასპი	400319053	15.11.21	15.11.2021	1,437.00
58	ელ.სარჩილავი	შპს გუდბილდ +	400240217	15.11.21.1	15.11.2021	225
59	ფოლადის შესყიდვა	შპს ევროსტილი	405176367	22.11.21	22.11.2021	519
60	კარტრიჯების დამუხტვის მომსახურების შესყიდვა	შპს იზი სერვისი	402065144	26.11.21	26.11.2021	975
61	ნათურების შესყიდვა სასწავლო	შპს ბორან ლაითი	206343492	29.11.21	26.11.2021	301.68
62	რეზინის ჩექმები და წაღები	შპს Made To Make	404954377	51	09.12.2021	2,613.00

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების შედეგად ტენდერების გზით მიღებული ეკონომია შეადგენს 19 814 ლარს.

დაფინანსება

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფინანსებამ 2021 წელს შეადგინა 284 252 ლარი, ხოლო სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მხრიდან ბიუჯეტით განისაზღვრა 286 181 ლარი (2021წ. დაფინანსებამ შეადგინა 238 196 ლარი და 2020წ. გარდამავალი ნაშთით 47 985 ლარი);

- 2021 წელს ვაუჩერულმა დაფინანსებამ შეადგინა 584 184 ლარი ოდენობით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფინანსდა პროფესიული მომზადების პროგრამები: „სატრანსპორტო ლოჯისტიკის სპეციალისტი“ და ,,ტექნიკური ნახაზების მხაზველი“ – 4 425 ლარის ოდენობით;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ აღჭურვილობის შესაძენად დაფინანსდა საგანმანათლებლო პროგრამები: ,,შედუღება“ და ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ 183 372 ლარის ოდენობით;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა, პროფესიული მომზადების პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის“ 3 998.39 ლარის ოდენობით;
- შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს მიერ, კომპანიაში დასაქმებულთა პროფესიული გადამზადებისათვის დაფინანსდა მოკლევადიანი მომზადების პროგრამა „სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე“ 16 150 ლარის ოდენობით.